ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა (საპოლიციო)
№ 01

ქ. ფოთი „ 29“ დეკემბერი 2020 წ.

ერთი მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის (ს/კ 242739248) (შემდგომში - „დამკვეთი“), მერის ბესიკ ფარცვანიას სახით, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს (ს/კ 211350928) (შემდგომში - „დაცვა“), სამმართველოს უფროსის კოტე მიქაიას სახით, მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „დაცვა“ უზრუნველყოფს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული მატერიალური ფასეულობებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას (შემდგომში ,,ობიექტად“ წოდებული)რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ.წალენჯიხა,სალიას ქ N5

მუხლი 2. დაცვის თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის რეჟიმი

2.1 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული „ობიექტის“ დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ზუგდიდის დაცვის პოლიციის განყოფილება 1 (ერთი) ინსპექტორისა და 6 (ექვსი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით, ინსპექტორი სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, უმცროსი ინსპექტორები სამცვლიანი სამუშაო გრაფიკით, ცვლაში 2 (ორი) უმცროსი ინსპექტორით, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

მუხლი 3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1 „დაცვის“ მომსახურეობის ერთი თვის ჯამური ღირებულება შეადგენს 5300 (ხუთიათასსამას) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 „დაცვის“ მომსახურეობის ყოველთვიური ღირებულება 1 (ერთ) ინსპექტორზე შეადგენს 1100 (ათასასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, 1 (ერთ) უმცროს ინსპექტორზე შეადგენს 700 (შვიდას) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.3 ,,დამკვეთმა“ ,,დაცვასთან“ ანგარიშსწორება უნდა განახორციელოს საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;

3.4 „დაცვის“ მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო

მუხლი 4. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

4.1 „დაცვა“ ვალდებულია:

4.1.1 უზრუნველყოს ,,დამკვეთი“-ს ტერიტორიაზე განთავსებული მატერიალური ფასეულობებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

4.1.2 არ გაამჟღავნოს ,,დამკვეთის“ სამსახურებრივი საიდუმლოება;

4.1.3 ,,ობიექტის“ სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღის გარეშე;

4.1.4 ,,პოლიციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

4.1.5 ობიექტის ტერიტორიაზე გააკონტროლოს გარეშე პირებისა და ტრანსპორტის შემოსვლა;

4.1.6 დაუყოვნებლივ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს ობიექტზე სამართალდარღვევების შესახებ, მათ მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა და დანაშაულის აღკვეთა;

4.1.7 ობიექტზე ხანძრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სახანძრო სამსახურს და დამკვეთს;

4.1.8 შეასრულოს ხელშეკრულებაში მითითებული მოთხოვნები და დამატებითი მითითებები ან დამკვეთის წერილობითი მოთხოვნები,რომლებიც დაკავშირებულია დაცვის საქმიანობასთან და ხელს არ უშლის დაცვის მიერ თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას.

4.1.9 ,,დაცვა“ ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შედეგად გადამხდელისათვის მიყენებულ ზარალზე;

4.1.10 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით,რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ,,დამკვეთი"-ს საბუღალტრო დოკუმენტაციას;
4.1.11 ,,დამკვეთისათვის" ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას ,,დაცვა" მოახდენს აღსრულების ფურცლის ან კანონიერ ძალაში შსული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე 30 დღის განმავლობაში;

4.2 „დაცვა" პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:
4.2.1 ,,დამკვეთმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;
4.2.2 თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვეს დასაცავ ,,ობიექტში";
4.2.3 მატერიალური ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „დამკვეთის" მიერ ,,ობიექტის" დადგენილი წესით დაცვისათვის ჩაუბარებლობის გამო.

4.3 „დამკვეთი" ვალდებულია:
4.3.1 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და „დაცვასთან" ერთად იზრუნოს „ობიექტის" დაცვის სრულყოფისათვის;
4.3.2. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას „დაცვას" გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე - 3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
4.3.3. „დაცვას" 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე" მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის" დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);
4.3.4. „დაცვის" თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „დაცვას";
4.3.5. „დამკვეთს" ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული გამოკვლევის აქტებით;
4.3.6. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, „დამკვეთი" ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით აცნობოს „დაცვას".
4.3.7 ,,ობიექტის" მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში არ შევიდეს მასში ,,დაცვის" თანამშრომლის გარეშე და არ დაიწყოს მატერიალური ფასეულობების აღწერა

მუხლი 5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია „დაცვას" გადაუხადოს პირგასამტეხლო დაცვის მომსახურების ერთი თვის ღირებულების ოდენობით, პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 14 საბანკო დღის განმავლობაში;
5.2 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის 4.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,დაცვა" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,დამკვეთს" პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ფორს-მაჟორში იგულისხმება სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ბლოკადა, აჯანყება, სახელმწიფოს მიერ მიღებული შემზღუდავი/ამკრძალავი სამართლებრივი აქტიები ან/და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც: ა) არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია; ბ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე; გ) არ არის გამოწვეული ან/და დაკავშირებული მხარეთა შეცდომებთან, დაუდევრობასა თუ გულგრილობასთან; დ) დაიწყო ან განვითარდა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და რომელთა წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ. ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესალოა განხილულ იქნას როგორც ფორს-მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.
6.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება (ფორს-მაჟორი);
6.3. მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით

აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება არა აქვს მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზზე;

6.4. დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილ ხელშემშლელ გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები;

6.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის წერილობითი დადასტურება, რომელიც გაცემული იქნება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია;

8.2 გამოკვლევის აქტები წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

8.3 „დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც „დამკვეთს“ ეცნობება არანაკლებ 10 დღით ადრე;

8.4 ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, „დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ;

8.5 სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

8.6 ხელშეკრულება შედგენილია ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „დამკვეთთან“, ხოლო მეორე „დაცვასთან“.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„დამკვეთი”

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია ს/კ 242739248

ქ.წალენჯიხა, სალიას ქ. N5

ტელ

ელ.ფოსტა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი Besik Partsvania Digitally signed by Besik Partsvania Date: 2020.12.29 15:45:36 +04'00' /ბ. ფარცვანია/

„დაცვა“

შსს სსიპ – დპდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო

ს/კ ს/კ N211350928 - მის ქ. ფოთი მშვიდობის ქ. N6

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22,

მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი N707117041

სამმართველოს უფროსი Kote Mikaia Digitally signed by Kote Mikaia Date: 2020.12.29 15:53:59 +04'00' კოტე მიქაია